ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97241721**

თარიღი:**20/06/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 24 კვ/მ ფართის (ორი ოთახი) უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4-ე და მე-6-ე პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16-აპრილის N 536 განკარგულების და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 18 ივნისის N 96-96241708 წინადადების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი1.მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის პირველ სართულზე განთავსებული 24კვ/მ ფართი (ორი ოთახის) დროებით 2026 წლის პირველ იანვრამდე უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემა სსიპ ,,სამხედრო აღრიცხვისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს" ლენტეხის განყოფილებისთვის.

მუხლი2.განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი